MATERIALS ABOUT THE UNKNOWN ASPECTS OF THE LIFE AND CHARACTER OF VAKHTANG (ORBEL) ORBELISHVILI, A FEUDAL LORD OF KARTLI

მასალები ქართლის ფეოდალის, ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის უცნობი ასპექტების შესახებ[1]

TAMAZ GOGOLADZE
Doctor of History
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Aleksidze 1/3, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-8501-1558
tazogogoladze@yahoo.com
+995 555070106

Abstract

The present work is dedicated to the hitherto unknown aspects of Vakhtang (Orbel) Orbelishvili, a famous Kartli feudal lord of the 17th century, an influential and important political figure of the Kaflanishvili feudal house. Based on mutual comparison of Georgian written sources (Georgian historical documents, Georgian lapidary inscriptions, Georgian embroidery, manuscript testament), we have enriched our knowledge about the feudal house of Vakhtang (Orbel) Orbelishvili and his life-character:

a) Orbel's second daughter was named Ketevani, who was married to Teimuraz Mukhranbaton.

b) In Georgian historiography, there are various opinions regarding the date of Orbel's death. One part of the scholars (Iase Lortkifanidze) dates his death to the period between 1696/1701, while the other part (Levan Menabde) dates it to 1696. It is worth noting that the location of his age-old resting place was unknown to us. Our attention was drawn to the damaged tombstone inscription next to the epitaph of the grave of Kaflan Orbelishvili of the Fitareti church, which belongs to someone named Orbel. Georgian historians Giorgi Chitaia define the chronology of the tombstone inscription as 1686, and Ekvtime Takaishvili as 1682. However, both scientists do not know who is meant by the name Orbel. We take into account the proximity of the tombstone to the epitaph of Kaflan Baratashvili, and taking this into account, we think that the present tombstone is the tombstone of Vakhtang (Orbel) Orbelishvili, according to which he died in 1686 at the age of 49.

c) He and his wife, Tamar, the daughter of Aragvi Eristavi, were also distinguished by their cultural and construction activities. Their name is associated with the creation and editing of many manuscript books, the restoration and repair of Georgian churches and monasteries. One of the clear examples of this is the inscription of the Church of Saint Nicholas in Tanzi. Georgian science dates the

[1] წინამდებარე ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 2019 წელს საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები" სახელწოდებით „სულხან-საბა ორბელიანის მამის ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის გარდაცვალების თარიღის დადგენისათვის".

epigraphic monument to 1683. Unlike the previous researchers, we focus on one late letter attached to the 12th-century Menaion (S-4999) preserved in the National Center of Manuscripts, from which we learn that in 1682, Orbel (Vakhtang) Orbelishvili and his wife, Tamara, daughter of Eristavi of Aragvi, donated 6 church books to the Church of St. Nicholas of Tandzia. By 1682, the Church of St. Nicholas was already built, and the prayer inscription of Orbel, which is interesting to us, has already been carved over its southern entrance. Based on the small proportions of the temple, we define the chronology of its construction as the end of the 70s of the 17th century and 1682.

Keywords: Epigraphy; Inscription; Historical document; Manuscript; Colophon;

თამაზ გოგოლაძე
ისტორიის დოქტორი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი, ალექსიძის1/3, 0193
ORCID: 0000-0001-8501-1558
tazogogoladze@yahoo.com
+995 555070106

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება XVII საუკუნის ცნობილი ქართლელი ფეოდალის, ყაფლანიშვილთა ფეოდალური სახლის გავლენიანი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწის, ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის დღემდე უცნობ ასპექტებს. ჩვენ ქართული წერილობითი წყაროების (ქართული ისტორიული საბუთები, ქართული ლაპიდარული წარწერები, ქართული ნაქარგობა, ხელნაწერის ანდერძი) ურთიერთშეჯერების საფუძველზე გავამდიდრეთ ჩვენი ცოდნა ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის ფეოდალური სახლისა და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ:

ა) ორბელის რიგით მეორე ასულს სახელად ქეთევანი ერქვა, რომელიც გათხოვილი ყოფილა თეიმურაზ მუხრანბატონზე.

ბ) ქართულ ისტორიოგრაფიაში ორბელის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი (იასე ლორთქიფანიძე) მის გარდაცვალებას 1696/1701 წლებს შორის პერიოდით, ხოლონ მეორე ნაწილი (ლევან მენაბდე) 1696 წლით ათარიღებს. აღნიშვნის ღირსია, რომ ჩვენამდე უცნობი იყო მისი საუკუნო განსასვენებლის ადგილმდებარეობა. ჩვენი ყურადღება მიიქცია ფიტარეთის ეკლესიის ყაფლან ორბელიშვილის საფლავის ეპიტაფიის გვერდით დაზიანებულმა საფლავის ქვის წარწერამ, რომელიც ვინმე ორბელს ეკუთვნის. ჩვენთვის საინტერესო საფლავის ქვის წარწერის ქრონოლოგიას ქართველი ისტორიკოსები: გიორგი ჩიტაია 1686 წლითა, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი 1682 წლით განსაზღვრავს. თუმცა ორივე მეცნიერისათვის უცნობია თუ ვინ იგულისხმება სახელ ორბელში. ჩვენ ვითვალისწინებთ რა საფლავის ქვის სიახლოვეს ყაფლან ბარათაშვილის ეპიტაფიასთან და ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ წინამდებარე საფლავის ქვა სწორედ ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის საფლავის ქვას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც იგი 1686 წელს 49 წლის ასაკში გარდაცვლილა.

გ) იგი და მისი მეუღლე, არაგვის ერისთავის ასული თამარი კულტურულ-სააღმშენებლო საქმიანობითაც გამოირჩეოდა. მათ სახელს უკავშირდება არაერთი ხელნაწერის წიგნის შექმნა-შეკაზმვა, ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთება. სწორედ ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, ტანძიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წარწერა. ქართველი მეცნიერები ეპიგრაფიკულ ძეგლს 1683 წლით ათარიღებენ. წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ყურადღებას ვამახვილებთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ XII საუკუნის თვენზე (S-4999) დართულ ერთ გვიანდელ მინაწერზე, საიდანაც ვიგებთ, რომ 1682 წელს ორბელ (ვახტანგ) ორბელიშვილსა და მის მეუღლეს, არაგვის ერისთავის ასულ თამარს 6 საეკლესიო წიგნი შეუწირავთ ტანძიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიისათვის. 1682 წლისათვის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია უკვე აგებულია და ჩვენთვის საინტერესო ორბელის სავედრებელი წარწერაც მის სამხრეთ შესასვლელის თავზე უკვე ამოღარულია. ტაძრის მცირე ზომის პროპორციებიდან გამომდინარე, მის აშენების ქრონოლოგიას XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულითა და 1682 წლებით განვსაზღვრავთ.

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკა; წარწერა; ისტორიული დოკუმენტი; ხელნაწერი; კოლოფონი;

შესავალი

ვახტანგ ორბელიშვილი ყაფლანიშვილთა ფეოდალური სახლის ფუძემდებლის, გავლენიანი ქართლელი ფეოდალის - ყაფლან ორბელიშვილის ერთ-ერთი ვაჟი გახლდათ. ის ძალზედ დაახლოებული იყო ქართლის სამეფო კართან და ფლობდა მდივანბეგის საპატიო სახელოს. ჩვენი წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება XVII საუკუნის ცნობილი ქართლელი ფეოდალის ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის დღემდე უცნობ ასპექტებს.

მეთოდები

ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის კვლევა ემყარება შედარებით, კრიტიკული ანალიზისა და ისტორიულ-გენეალოგიურ მეთოდებს.

მსჯელობა და შედეგები

XVII საუკუნის ცნობილი ქვემო ქართლელი ფეოდალისა და ყაფლანიშვილთა ფეოდალური სახლის ფუძემდებლის, ყაფლანის რიგით მესამე ვაჟი, ვახტანგი (ორბელი) გახლდათ. მას ქართლის სამეფო კარზე ეკავა მდივანბეგის საპატიო სახელო. იგი გამოირჩეოდა როგორც პოლიტიკური, ასევე აქტიური კულტურულ-სააღმშენებლო საქმიანობით. ამის ნათელი დადასტურებაა ორბელის მიერ ტანძიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის აგება და მისი დაკვეთით არაერთი ხელნაწერი წიგნის გადაწერა. როგორც ცნობილია, ვახტანგ ყაფლანიშვილს ცოლად ჰყავდა ზაალ არაგვის ერისთავის ასული, თამარი, რომელთანაც ჰყავდა 8 ვაჟი: სულხანი (შემდგომში ცნობილი ლექსიკოგრაფი, სულხან-საბა ორბელიანი), ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ნიკოლოზი, ზაალი, ზურაბი, დიმიტრი და სამი ასული, რომელთაგან ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ასულის - დარეჯანის სახელი. დანარჩენი ორი ასულის სახელები უცნობი იყო. ჩვენი ყურადღება მიიპყრო წილკნის ღმრთისმშობლის ეკლესიის კუთვნილი გარდამოხსნის 1686 წლის წარწერამ:

„ქ. რ(ა)ჟ(ა)მს დაჯდეს ძე შ(ე)ნი გ(ა)ნკითხვ(ა)დ, მას ჟ(ა)მსა მოიკს(ე)ნე წილკნისა მღთ(ი)სმშობელო, ბატონიშვილი თეიმურ(ა)ზ და თ(ა)ნამეცხ(ე)დრე მისი, ორბელისშვილის

ასული, ბატონი ქეთევან. ვინცა წაიკ(ი)თხ(ო)თ, ჩ(უე)ნ ც(ო)დვილთათ(ჳ)ს შ(ე)ნდობ(ა)ს გრძ(ანე)ბდ(ე)თ, ქ(რონი)კ(ო)ნს ტოდ (1686 წ.)" (ბერიაშვილი, 2011: 62)

წარწერაში მოხსენიებულია კონსტანტინე მუხრანბატონის ძე, ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის ძმა, თეიმურაზ მუხრანბატონი და მისი მეუღლე ორბელისშვილის ასული ქეთევანი. თეიმურაზ მუხრანბატონი წყაროებით 1670 წელს მამის, კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ შიდა ქართლის სადროშოს მეთაურია. ქართულ ისტორიულ საბუთებში იგი 1670-1687 წლებში სახლთუხუცესად იხსენიება. წარწერაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ქეთევანი ორბელის შვილი იყო.

ამრიგად, ვახტანგისა და თამარის მეორე ასული, ქეთევანი გათხოვილი ყოფილა თეიმურაზ მუხრანბატონზე. მომავალი კვლევებით იმედია დადგინდება ვახტანგ (ორბელ) ყაფლანიშვილის მესამე ქალის ვინაობაც (ნინიძე, 2004: 183).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო თეიმურაზ მუხრანბატონის 1687 წლის საბუთმა, სადაც მის გვერდით თანამეცხედრედ დასახელებულია ანა, მაშინ როცა წილკნის 1686 წლის წარწერაში მისი მეუღლე ორბელის ქალი ქეთევანია. როგორც ჩანს, 1686 წლისათვის თეიმურაზ მუხრანბატონის პირველი მეუღლე - ქეთევანი გარდაიცვალა და მან მეორედ ცოლად შეირთო ანა, რომლის საგვარეულო კუთვნილებას შესაბამისი მასალის არქონის გამო ვერ ვარკვევთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ორბელის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა.

იასე ლორთქიფანიძე ქართულ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით ვახტანგ ყაფლანიშვილის გარდაცვალებას 1696/1701 წლებს შორის ათავსებს (ლორთქიფანიძე, 1938: 340). ლევან მენაბდე - ვახტანგის ერთ-ერთი ვაჟის, დიმიტრის დაბადების თარიღის დადგენისას შეეხო ვახტანგ (ორბელ) ყაფლანიშვილის გარდაცვალების საკითხსაც. მისი დაკვირვებით, 1677-1685 წლების საბუთებში ვახტანგი თავის ვაჟებთან ერთად იხსენიება. მაგრამ 1704-1706 წლებში ვახტანგთან და მის ძეებთან ერთად აღარ იხსენიება დიმიტრი. ლ. მენაბდემ სავსებით სამართლიანად ეჭვი შეიტანა 1704-1706 წლის საბუთების ბოლოს დასმული ქრონიკონების მართებულობაში. მას პირველ არგუმენტად მოჰყავს 1689 წლის საბუთი, რომელშიც მდივანბეგად უკვე არაგვის ერისთავის ძმა, ბარძიმია. გარდა ამისა, უთითებს კიდევ ოთხ დოკუმენტს, რომელთა ქრონოლოგიაც 1685-1702 წლებში თავსდება, რომლებშიც ვახტანგი აღარ იხსენიება. ყოველივე ამის საფუძველზე, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვახტანგ ყაფლანიშვილი უნდა გარდაცვლილიყო 1696 წელს (მენაბდე, 1959: 151-154).

ექვთიმე თაყაიშვილს ფიტარეთის ტაძრის ინტერიერში უნახავს საფლავის ქვა შემდეგი წარწერით:

„ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე".

წარწერას არ უზის თარიღი. წარწერის პირველი გამომცემელი - მარი ბროსე ფიქრობდა, რომ იგი ეკლესიის ქტიტორის ქავთარ ქაჯიფაიძის საუკუნო განსასვენებელს წარმოადგენდა, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი და გულიკო მჭედლიძე ფიქრობენ, რომ საფლავი ეკუთვნოდა ყაფლან ბარათაშვილის ერთ-ერთ ვაჟს, ვახტანგ (იგივე ორბელ) ყაფლანიშვილს.

როგორც ცნობილია, ფიტარეთის ეკლესიაში იყო ყაფლანიშვილთა საგვარეულო სასაფლაო. რადგან პალეოგრაფიული მონაცემები საფლავის ქვათა წარწერების ქრონოლოგიური გამიჯვნის საშუალებას არ იძლევა, ეს საფლავის ქვა თანაბარი წარმატებით შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც XVII საუკუნეს, ასევე XVIII საუკუნეს. ამ წარწერის თარიღს ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოთი – XVII-XVIII საუკუნეებით განვსაზღვრავთ.

ექვთიმე თაყაიშვილი საფლავის ქვის პროპორციების, სილამაზისა და მასზე ლამაზი კალიგრაფიული ხელით გამოქანდაკებული წარწერის გათვალისწინებით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „აქ ვინმე დიდათ წარჩინებული ორბელიანი უნდა ემარხოს. ჩვენი მოსაზრებით, ეს უნდა იყოს ყაფლანის შვილი ვახტანგ ორბელი, რომელიც ცნობილია როგორც მდივანბეგი ქართლისა, ტფილისის ქალაქისა, საბარათიშვილოსა, სომხითისა და თათრისა. ამას ჰყავდა რვა შვილი, რომელიც განთქმულნი იყვნენ თავიანთი მოღვაწეობით და მწიგნობრობით. ესენი არიან: სულხან-საბა, ერასტი, ვახუშტი, ყაფლან, ნიკოლოზ, ზაალ, ზურაბ. თვით წარწერის ნიმუში უნდა ეკუთვნოდეს ან სულხან-საბას ან მის ძმას ნიკოლოზ ტფილელს. ესენი იყვნენ განმავითარებელნი უაღრესად ხარისხამდე ასეთი დაქსელილი წერისა. ნიკოლოზმა დაგვიტოვა ნიმუშებიც და ანდერძიც ამგვარი ხელოვნებისა" (თაყაიშვილი, 1929: 92-93).

როგორც ვხედავთ, ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნული საფლავი ვახტანგ (ორბელ) ყაფლანიშვილს საუკუნო განსასვენებლად მიიჩნია.

ზემოჩამოთვლილ მეცნიერთაგან განსხვავებით, საკმარისი მასალის არქონის გამო მიხეილ ქავთარიამ თავი შეიკავა ვახტანგის გარდაცვალების თარიღის გადაჭრით განსაზღვრისაგან (ქავთარია, 1991: 150).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ლევან მენაბდის სამეცნიერო ნაშრომში მოყვანილმა ერთ-ერთმა უთარიღო საბუთმა, რომელიც წარმოადგენს გივი ამილახვრის კეთილმოყვრობის წიგნს ორბელისშვილებისადმი. საბუთის გამომცემელმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ეს დუკუმენტი 1685-1695 წლებით დაათარიღა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გთავაზობთ საბუთის ფრაგმენტს:

„...ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი ... ფიცი და საფიცარი მოგეცით ჩვენ, ამილახორმან, ბატონმან გივმა, ძმამა ჩემა, ყორჩიბაშმა პაატამა ... თქვენ, ორბელიშვილს, ბატონს პაპუნას, სარდალს თამაზს, სულხანს და ბოქაულთ-უხუცეს ერასტის და ვახუშტის, ასე რომე, ვიყუნეთ თქუენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და კარგის მდომნი და უზიანონი..." (თაყაიშვილი, 1909: 176).

საბუთის მიხედვით, ორბელიშვილებს შორის პირველ ადგილზე მოხსენიებულია პაპუნა. პაპუნას შემდგომ მისი უმცროსი ძმა და ძმისწულები.

საბუთში ვახტანგი პაპუნასა და თამაზის გვერდით არ არის მოხსენიებული, რაც ნიშნავს, რომ საბუთის გაცემის დროს იგი გარდაცვლილია. როგორც ცნობილია, პაპუნა ყაფლან ორბელიშვილის უფროსი ვაჟი იყო, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1689 წელს გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია საბუთის ზედა ზღვრად დავდოთ 1689 წელი. მეტად საინტერესოა გიორგი ჩიტაიასა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული კიდევ ერთი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც სამწუხაროდ თავნაკლულია და ფრაგმენტულად იკითხება.

გიორგი ჩიტაიას პუბლიკაციის თანახმად, წარწერა შესრულებულია 1686 წელს.

„...მდე. ესე არს განსასვენებე[ლი] ამას დავემკვიდ[რ]ე, რამეთუ მთნავს ესე. 49 წლისა მივიცვალე ქორონიკონს ტ[ოდ] (1686). შენდობა ყავთ გეველრებით" (ჩიტაია, 1926: 121).

გიორგი ჩიტაიასაგან განსხვავებით, ექვთიმე თაყაიშვილი წარწერის თარიღს 1682 წლით განსაზღვრას, რადგან ქორონიკონის აღმნიშვნელ გრაფემად მხოლოდ ორ ასო-ნიშანს „ტო"-ს კითხულობს. გარდა ამისა, მეცნიერი აღნიშნავს, რომ „აქ უნდა იყოს დამარხული რომელიმე ან ყაფლანის ან ასლანის შვილი. სახელი ორბელი ვერ მოგვცემს გადამწყვეტ საბუთს, ვინაიდან ის მეტსახელად ერთვის ხშირად. მაგ. მდივან-ბეგი ვახტანგი ზოგჯერ ცნობილია მარტო ორბელის სახელით. სახელ ორბელს ატარებენ კიდევ ვახტანგის შვილის

შვილი, ერასტის შვილი, და ვახტანგის ძმის გიორგის შვილის შვილი. მაგრამ ეს საფლავი მათ არ უნდა ეკუთვნოდეს. ისინი მე-18 საუკუნეში ცხოვრობდნენ". თაყაიშვილი წარწერას ასე კითხულობს:

„მე დიდის ორბელის: ბტნის... | ლნის . . . . . | . . . . . | . . . . . | ლოს: მ . . . . . | დიდი . . .ვნ . . . .| პატრონი ორბელი . . . . ამა სა|მარხოსა: დამდევს: ესე არს | განსასვენებელი ჩ˜ი | ამ˜ს: დავემკვიდ:|რე: რ˜: მთწ˜ვს: ესე | მ˜თ: წლისა: მვიც|ვალ: ქ˜კს ტო: და | შენდობა: ყვთ გევედრებით" (თაყაიშვილი, 1929: 90-91).

2017 წლის ზაფხულში ორჯერ ვიმყოფებოდით ფიტარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიაში **(სურ.1)** მის კედლებსა თუ ინტერიერში დაცული წარწერების შესწავლის მიზნით. ექსპედიციის ფარგლებში შევასრულეთ ტაძრის ყველა წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა, პალეოგრაფიული ასლები დავამზადეთ და აღვბეჭდეთ ფოტოებზე. ჩვენი ყურადღება მიიქცია ყაფლან ორბელისშვილის საფლავის მარჯვნივ მდებარე ვინმე ორბელის საფლავის ეპიტაფიამ. სანამ წარწერის ჩვენეულ წაკითხვას წარმოვადგენთ, გთავაზობთ წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, წარწერის პალეოგრაფიულ პირს, წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მის ფერად ფოტო **(სურ 2.)**.

წარწერა ამოკვეთილია ბაზალტის მუქი ნაცრისფერი საფლავის ქვაზე, რომელიც მთავარი ეკლესიის ნაოსის საკურთხეველთან, ყაფლან ორბელიშვილის საფლავის გვერდით მდებარე უწარწერო საფლავის ქვის გვერდით, იატაკში არის ჩადგმული; საფლავის ქვის ზედა სიბრტყე ოთხივე მხრიდან დაზიანებული ხაზითაა მოჩარჩოებული; ხაზით მოჩარჩოებული არე მთლიანად წარწერას უკავია; წარწერიანი ქვის ზომები: 163,5 X 47 სმ.; წარწერის ფართობი: 156 X 44 სმ.; 17 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: Ბ (XV სტრიქონის VIII გრაფემა) – 7,5 X 3 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: Ჩ (XI სტრიქონის II გრაფემა) – 4 X 2 სმ.; ქარაგმის ნიშნები: მოკლე კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: სამკუთხედი ფორმის ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.

დაზიანება: წარწერის დასაწყისი 7 სტრიქონი ძალზედ დაზიანებულია ქვის ამოტეხვის გამო. ამის გამო, ამ სტრიქონებზე მხოლოდ რამდენიმე გრაფემის გარჩევა ხერხდება. გარდა ამისა, დანარჩენი 10 სტრიქონი ადგილ-ადგილ ამოტეხილი და დაბზარულია, რის გამოც ცალკეული გრაფემები ან საერთოდ არ იკითხება ან ფრაგმენტულად განირჩევა. წარწერის ტექსტი აღდგენილია გრაფემათა შემორჩენილი ფრაგმენტების, წარწერის კონტექსტისა, ტანძიის სვინაქსარის ანდერძის ტექსტისა და წინა გამოცემების მიხედვით.

1. Ⴆ: ⴆⴗⴆⴗ ----
2. ˹ⴒ˺- ˹ⴑⴒⴒⴒ˺ ------
3. [...]
4. [...]
5. [...]
6. -Ⴑ (?) --Ⴒ: [...]
7. [...]
8. ⴓⴔⴕ˹Ⴑ˺-- ˹Ⴑⴕ˺Მ --
9. ⴚⴆⴚ ⴓ˹Ⴆⴕ˺-----
10. ˹ⴚ˺Ⴆⴚ˹ⴒⴕ˺ -˹ⴓⴗ ⴚⴕ˺-
11. ˹ⴒⴚⴓ˹ⴚ˺ⴓ˹ⴒⴗⴗ˹Მⴒⴗⴒ--
12. ⴚⴆⴓ ⴚⴒⴗⴆ˹ⴓⴒⴗⴚ-
13. ⴗ ⴕ: Ⴆ˜ⴑⴓⴒ˹ⴓ ⴗⴓ˹ⴒ
14. Ⴆ˜ⴑ: ⴔⴒⴓⴓⴚ: ˹Ⴆ˺ⴒⴗⴑ
15. ⴒⴚⴒⴗ: ⴑ˜ⴓⴓ: ⴔ˹ⴑⴓ:ⴚ

16. ᲧᲗᲩᲝᲦᲨ: ᲧᲨᲜᲫ
17. ᲦᲗᲜᲗᲩᲯᲗᲦᲦ

„მე, დიდის [ორბე]/ლისშვილის, [ბ(ა)ტონის / ყ(ა)ფლ(ა)ნის ძე, ს(ა)ქ/(ა)რთვ(ე)ლ(ო)ს მ(ო)ს(ა)მ(ა)რთლე, მდივანბეგი, მეფის გიორგის დედის ძმა], / პ(ა)ტრო)[ნი] ორბ[(ე)ლი], / ამა ს(ა)მ(ა)რ[ხოსა დ]/ამდევს, [ე]სე არ[ს] / განსასვენებელი [ჩ(ემ)ი], / ამ(ა)ს დ(ა)ვემკვიდ[რ]/ე, რ(ამეთუ) მთნ(ა)ვს ესე, / მთ (49) წლისა მ(ი)ვიც/ვალე, ქ(ორონი)კ(ონ)ს(ა) ტოდ (1312+374=1686 წ.), / შენდობა ყავთ, / გეველრები".

როგორც საფლავის ქვის წარწერიდან ვიგებთ, 1686 წელს 49 წლის ასაკში პატრონი ორბელი გარდაცვლილა. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, გივი ამილახვარის 1685-1689 წლების კეთილმოყვრობის წიგნს ორბელისშვილისადმი, ასევე ვახტანგ (ორბელ) ყაფალანიშვილის მოხსენიების წლებს 1636-1685, ასევე საფლავის ქვის მდებარეობას ყაფლან ორბელისშვილის საფლავის ქვის გვერდით, აღნიშნული საფლავის ქვა სწორედ ყაფლანის რიგით მესამე ვაჟის, ვახტანგ (ორბელ) ყაფლანიშვილის საუკუნო განსასვენებელს უნდა წარმოადგენდეს. აქ ჩნდება კიდევ ერთი წინააღმდეგობა - საფლავის ეპიტაფიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პატრონი ორბელი 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამას კარგად ეხმაურება ქართულ დოკუმენტებში მისი 1636-1685 წლებში მოხსენიების ფაქტი, რაც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ იგი მართალაც 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. არადა, ჩვენთვის საინტერესო საფლავის ქვის წარწერის ტექსტში მკაფიოდ არის ქორონიკონი მითითებული ტოდ, რაც მართლაც 1686 წელს უდრის. თუ შევუჯერებთ ვახტანგის საისტორიო დოკუმენტებში პირველად მოხსენიების დროს - 1636 წელს, ორბელ ბარათაშვილის ეპიტაფიის თარიღს - 1686 წელს, მაშინ გამოდის, რომ იგი არა 49 წლის, არამედ 50 წლის ასაკში გარდაცვლილა. მაგრამ აღნიშული წინააღმდეგობის დაძლევა ძალზე ადვილია, მართალია, 50 წელია მანძილი მის პირველად მოხსენიებასა და გარდაცვალებას შორის. მაგრამ აქ გასათვალიწინებელია, რომ იგი შესაძლოა, 1686 წელს თავის დაბადების დღემდე გარდაცვლილა.

ორბელის სახელს უკავშირდება ტანძიაში წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის აგება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ტაძრის აგების თარიღს, და შესაბამისად, მისი სამხრეთი შესასვლელის წრიული ფორმის არქიტრავის ქვაზე ამოღარულ წარწერას 1683 წლით განსაზღვრავენ.

„ქ. წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ოლო)ზ, / მეოხ ექმენ / პ{ა}ტრ{ო}ნს{ა} ორბელს".

ჩვენ, წინამორბედ მკვლევართაგან განსხვავებით, ყურადღებას ვამახვილებთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ XII საუკუნის გიორგი მთაწმინდილისეულ თვენზე (S-4999), რომელსაც ერთვის ერთი გვიანდელი მინაწერი:

„მე, დიდის ორბელის შვილმან და მართლმსაჯულმან, მდივანბეგმან, პატრონმან ვახტანგ და თანამემცხედრემან ჩემმან, არაგვის ერისთვის ზაალის ასულმან, პატრონმან თა[მ]არ ვიყიდეთ წმიდა ესე წიგნი დეკემბრის თვე ერთი, მარხვანი ერთი, სვინაქსარი ერთი, სამოციქულო ერთი, პარაკლიტონი ერთი, ძველი პარაკლიტონი ერთი, ნნ˜ბრის თვე და შემოგწირე შენ, ჩვენსა სა[. . .] შესავედრებელსა ჩვენგან აშენებულს ტანძიას წმიდას ნიკოლაოზის. შეიწირე შენ წმიდა შესაწირავი ესე [და] მეოხ გვექმენ დღესა მას საშინელსა განკითხვ[ის]ასა [წი]ნაშე ქრისტეს, ... ქკ˜სა ტო" (მეტრეველი, 1969: 319-320) .

მინაწერიდან ვიგებთ, რომ 1682 წელს ორბელ (ვახტანგ) ორბელიშვილსა და მის მეუღლეს, არაგვის ერისთავის ასულ თამარს 6 საეკლესიო წიგნი შეუწირავთ ტანძიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიისათვის. 1682 წლისათვის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია უკვე აგებულია

და ჩვენთვის საინტერესო ორბელის სავედრებელი წარწერაც მის სამხრეთ შესასვლელის თავზე უკვე ამოღარულია.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ტანძიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია ორბელისა და მისი მეუღლის, თამარის დაკვეთით აიგო არა 1683 წელს, არამედ გაცილებით ადრე. მხედველობაში ვიღებთ რა 1682 წლის მინაწერს, ორბელის წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1682 წელს ვდებთ. ტაძრის მცირე ზომის პროპორციებიდან გამომდინარე, მის აშენებას სავარაუდოდ დიდი დრო არ დასჭირდებოდა და მისი აგების ქვედა ზღვრად პირობითად XVII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მივიჩნევთ. ამდენად, წარწერის თარიღს XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულითა და 1682 წლებით განვსაზღვრავთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

თაყაიშვილი, ე. (1929). *სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები (ნაწილი პირველი). კავკასიონი.* N1. პარიზი.

ლორთქიფანიძე, ი. (1938). *ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი III და IV.* თბილისი: ტექნიკა და შრომა.

მენაბდე, ლ. (1959), *დიმიტრი ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანი 1658-1958 საიუბილეო კრებული.* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ნინიძე, დ. (2004), *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები).* თბილისი: მერიდიანი.

საქართველოს სიძველენი, (1909). ტ. II, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამომცემლობა.

ქავთარია, მ. (1991), *ორბელიშვილთა (ყაფლანიშვილთა) ფეოდალური სახლის ისტორია ვახტანგი III (ოჯახი). მრავალთავი,* ტ. XVI. თბილისი: მეცნიერება.

ქართული ნაქარგობა, (2011) ავტორები: გულნაზ ბარათაშვილი, ეკა ბერელაშვილი, მზისთვალა კეცხოველი, იზოლდა მელიქიშვილი, ნინო ნადარაია, ეთერ სულხანიშვილი, რედაქტორი: ლეილა ბერიაშვილი. თბილისი: ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა.

ჩიტაია, გ. (1926), *ფიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე,* ტ. III. ტფილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტომი VI, (1969). შეადგინეს და

დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი: მეცნიერება.

REFERENCES

taqaishvili, e. (1929). somkhit-saorbelos dzeglebis ts'arts'erebi (nats'ili p'irveli). *[Inscriptions of Armenian-Orbelo monuments (part one)].* k'avk'asioni N1. Pariz.

lortkipanidze, i. (1938). kvemo kartli XVIII sauk'unis p'irvel meotkhedshi, *[Kvemo Kartli in the first quarter of the 18th century,]* nats'ili III da IV. Tbilisi: publishing house "t'eknik'a da shroma".

menabde, l., (1959), dimit'ri orbeliani, sulkhan-saba orbeliani 1658-1958 saiubileo k'rebuli *[Dimitri Orbeliani, Sulkhan-Saba Orbeliani 1658-1958 jubilee collection].* Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of Georgia.

ninidze, d. (2004), bagrat'ionta samepo sakhlis gansht'oebata ist'oria (XIII-XVIII sauk'uneebi) *[History of the branches of the royal house of Bagrations (XIII-XVIII centuries)].* Tbilisi: Meridiani.

sakartvelos sidzveleni, (1909). t'. II, ekvtime taqaishvilis redakt'orobit [Antiquities of Georgia, (1909). T. II, under the editorship of Ekvtime Takaishvili]. T'pilisi: Publishing House of the Historical and Ethnographic Society of Georgia.

kavtaria, m. (1991), orbelishvilta (qaplanishvilta) peodaluri sakhlis ist'oria vakht'angi III (ojakhi) *[History of Orbelishvili (Kaflanishvili) feudal house Vakhtang III (family)].* mravaltavi, t'. XVI. Tbilisi: "Metsniereba".

kartuli nakargoba *[Georgian embroidery]*, (2011) avt'orebi: gulnaz baratashvili, ek'a berelashvili, mzistvala k'etskhoveli, izolda melikishvili, nino nadaraia, eter sulkhanishvili, redakt'ori: leila beriashvili. Tbilisi: Jemal Karchkhadze publishing house.

chit'aia, g. (1926), pit'aretisa da gudarekhis saplavis kvebi, sakartvelos muzeumis moambe *[Tombstones of Fitareti and Gudarekhi]*, t'. III. T'pilisi.

kartul khelnats'erta aghts'eriloba [Description of Georgian manuscripts], qopili kartvelta shoris ts'era-k'itkhvis gamavrtselebeli sazogadoebis (S) k'olektsia, t'omi VI, (1969). sheadgines da dasabech'dad moamzades: t. bregadzem, l. kajaiam, l. kutateladzem, m. shanidzem da ts. ch'ank'ievma, el . met'revelis redaktsiit. Tbilisi: "Metsniereba".

სურ. 1 ფიტარეთის ეკლესია [1179-1184 წწ.]
Fig. 1 Fitareti Monastery 1179-1184

სურ. 2 ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფია
Fig. 2 An Epitaph on a Tombstone of Vakhtang (Orbel) Orbelishvili